ღამის მეხრე

ღამის მეხრე ვარ, ტლუ ბიჭი,
ნაბადში გახვეულია,
გუთნის ხარ–კამეჩს ვდარაჯობ,
უნდა ვხნათ ანეულია...
მზე რაკი ჩავა, გუთნეულს
გამოვაყოლებ ჭალასა,
თუ მგელი ამოგვედევნა,
ფინთად აუშლი ბალანსა.
რომ დაღამდება, ყურს ვუგდებ.
არ ისმის ჩქამა–ჩქუმია,
მარტოკა მშიერ ხარ–კამეჩს
გაუდის ხრამა–ხრუმია.
ხანდისხან ჭოტის ხმა ისმის
და გულს მიღონებს წყეული,
ისე საბრალოდ გასძახის,
როგორც თიკანი ეული.
ჯეჯილის სანაპიროზე
სძოვს და სძოვს გუთნეულია,
იმათ ცოხნაზე ხანდისხან
მომეკიდება რულია.
ვმაგრობ და ვფრთხილობ, თავს ვიჭერ,
თან დავღიღინებ წყნარათა,
შევხედავ, ხარი–პარიამ
ლამაზად გამოანათა...
მერმე აღარა მიჭირს–რა,
გატყდება ღამე და ძილი,
მრავალიც გადექანება,
დიდი არ რჩება მანძილი.
მას უკან დილის რიჟრაჟი
ცას განმინათლებს და გულსა,
ტოროლაც შეინავარდებს,
ძირს ვეღარ ვნახავ ნაბულსა,
მზე ყურს ამოჰყოფს. გუთნეულს
დავირეკ შესაბმელათა,
ორი დღის ალო მერგება,
გადამიხნავენ ხელათა.

1881 წ.